



**"ენერგოეფექტურობის  
ცენტრის"  
ყრველკვირეული  
საინფორმაციო  
ბიულეტენი**

N 47, 2023

# სარჩევი

ნავთობი და გაზი .....	2
მთავრობა ეძებს ინვესტორს, ვინც 350-მეგავატთან თბოსადგურს ააშენებს - კონკურსი კიდევ გადავადდა.....	2
რუსეთიდან ნავთობპროდუქტების აკრძალვამ ქართული ბაზრის დამოკიდებულება 30.5%-ით შეამცირა.....	3
ელექტროენერგეტიკა.....	3
საქართველოს დერეფანში ელექტროენერჯის ტრანზიტი გაიზარდა.....	3
საქართველო და ყირგიზეთი მწვანე ენერჯის განვითარების საკითხებში ითანამშრომლებენ.....	4
განახლებადი ენერჯია და ენერჯოეფექტურობა.....	4
რომეო მიქაუტაძე: საქართველო უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ევროპულ ენერჯეტიკულ ოჯახში.....	4
საწინააღმდეგო მიმართულებით მზრუნავ მცურავ ქარის ტურბინას შეუძლია ორჯერ მეტი ენერჯის გამომუშავება, ვიდრე უდიდეს ქარის ტურბინებს.....	5
კლიმატის ცვლილება.....	6
ატმოსფეროში მომწამლავი ვერცხლისწყლის შემცველობა იზრდება.....	6
პლატფორმის "ტყის მეგობარი" ფარგლებში, თიანეთის მუნიციპალიტეტში ტყის აღდგენის პროექტი განხორციელდება.....	6
ღონისძიებები .....	7

## ნავთობი და გაზი

### მთავრობა ეძებს ინვესტორს, ვინც 350-მეგავატიან თბოსადგურს ააშენებს - კონკურსი კიდევ გადავადდა

საქართველოს მთავრობა ეძებს ინვესტორს, ვინც გარდაბანში 350-430 მეგავატის სიმძლავრის ახალ თბოელექტროსადგურს ააშენებს. ამისთვის ინტერესთა გამოსატყა მიმდინარე წლის ზაფხულში გამოცხადდა, თუმცა კონკურსის დასრულების ვადა რამდენჯერმე გადავადდა.

ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიერ გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, აუქციონის დასრულების ვადა კიდევ ერთხელ, ამჯერად 2024 წლის 15 იანვრამდე გადავადდა.

"სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ გაცნობებთ, რომ 350-430 მგვტ სიმძლავრის თბოელექტროსადგურის ასაშენებლად შპს „გარდაბნის თბოსადგური 3“-ის 100%-იანი წილის გაყიდვისა და ინვესტორის შერჩევის მიზნით 2023 წლის 30 ივნისს გამოცხადებული წინადადებების მიღების (RFP) პროცედურისთვის წინადადებების წარმოდგენის ვადა 2024 წლის 15 იანვრამდე (18:00 საათამდე) გაგრძელდა", - ნათქვამია GOGC-ის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

დაინტერესებულ ინვესტორებს წინადადებები თავდაპირველად 31 აგვისტომდე უნდა წარედგინათ, რაც 31 ოქტომბრამდე, ახლა კი, 30 ნოემბრამდე გადავადდა.

თავდაპირველად გარდაბნის მუნიციპალიტეტში 272 მგვტ სიმძლავრის კომბინირებული ციკლის მე-3 თბოელექტროსადგურის მშენებლობა იგეგმებოდა. ამასთან, პროექტის განმახორციელებელი და დამაფინანსებელი თავად GOGC უნდა ყოფილიყო, თუმცა 2023 წელს პირობები შეიცვალა და სახელმწიფოს ნაცვლად პროექტი კერძო ინვესტიციით უნდა განხორციელდეს.

ტენდერში გამარჯვებულად უნდა შეირჩეს კომპანია, რომელიც სახელმწიფოსგან გამოისყიდის "გარდაბანი 3"-ის აქტივებს და მის ბაზაზე ახალ თბოსადგურს ააშენებს.

ტენდერში მონაწილეობის მსურველმა კომპანიებმა უნდა წარადგინონ დამადასტურებელი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მათ 2012 წლის შემდგომ აშენებული აქვთ კომბინირებული ციკლის თბოსადგური, რომლის სიმძლავრეც მინიმუმ 150 მეგავატს შეადგენს. ახალი თბოელექტროსადგური კორპორაციის კუთვნილ მიწაზე, უკვე არსებული თბოსადგურების „გარდაბანი 1“ და „გარდაბანი 2“-ის მიმდებარედ აშენდება.

გარდაბნის თბოსადგური 3-ის ასაშენებლად ტენდერი პირველად 2020 წელს გამოცხადდა. მაშინ 272-მეგავატიანი სადგურის მშენებლობისთვის საუკეთესო პრეტენდენტად თურქული "ჩალიკ ენერჯი" დასახელდა, რომელიც პროექტს \$174.8 მილიონ დოლარად ააშენებდა. თუმცა, 2021 წლის გაზაფხულზე, კორპორაციამ განაცხადა, რომ "ჩალიკ ენერჯისთან" კონტრაქტი აღარ გაფორმდებოდა.

წყარო: bm.ge - <https://bit.ly/4a478Uv>



## რუსეთიდან ნავთობპროდუქტების აკრძალვამ ქართული ბაზრის დამოკიდებულება 30.5%-ით შეამცირა

მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში, საქართველოში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი 212.3 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი, საქართველოში 262.6 მლნ აშშ დოლარის პროდუქცია შემოვიდა.

შემცირება განსაკუთრებით მასშტაბურია, ამ დრომდე ერთ-ერთი მთავარი იმპორტიორი რუსეთისგან ნაყიდ ნავთობში. 21 სექტემბრიდან რუსეთის მთავრობამ შიდა ბაზრის სტაბილიზაციის მიზნით ბენზინისა და დიზელის ექსპორტზე დროებითი აკრძალვა შემოიღო, რასაც რიგი გამონაკლისები ერთვოდა. ამან ცხადია, შეამცირა იმპორტი საქართველოში.

კერძოდ, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოში 42.8%-ით ნაკლები ნავთობი და ნავთობპროდუქტები შემოვიდა. დეტალური სტატისტიკა კი, ასე გამოიყურება:

2022 წლის სექტემბერ-ოქტომბერში საქართველომ რუსეთისგან 157.8 მლნ აშშ დოლარის 163 705 ტონა ნავთობი იყიდა, მიმდინარე წლის ანალოგიურ პერიოდში კი, მხოლოდ 67.6 მლნ აშშ დოლარის 81 608 ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტები.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მთავრობის მიერ მიღებულ რეგულაციამდე რუსული ნავთობის წილი ქართულ ბაზარზე 62.3%-ს შეადგენდა, მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში კი, ანუ მას შემდეგ, რაც რეგულაცია ამოქმედდა, რუსული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების წილი ქართულ ბაზარზე 31.8%-ია.

ცნობისთვის, რუსეთის მთავრობამ შესაძლოა, უახლოეს პერიოდში აკრძალვა დიზელის საწვავის ექსპორტზეც გააუქმოს. ამის შესახებ რუსეთის ვიცე-პრემიერ ალექსანდრ ნოვაკმა ფედერაციის საბჭოში „სამთავრობო საათზე“ განაცხადა. რთული სათქმელია, როგორ შეიცვლება არსებული ბალანსი რეგულაციის გაუქმების შემდეგ.

წყარო: bpn.ge - <https://bit.ly/3RcXcAh>

## ელექტროენერგეტიკა

### საქართველოს დერეფანში ელექტროენერჯის ტრანზიტი გაიზარდა

საქართველოს დერეფანში ელექტროენერჯის ტრანზიტი გაიზარდა. "სახელმწიფო ელექტროსისტემის" 10 თვეში საქართველოს გავლით 2.572 მლრდ კვტ.სთ ელექტროენერჯის ტრანზიტი განხორციელდა, 2022 წლის ამავე პერიოდში ტრანზიტულად 2.14 მლრდ კვტ.სთ ელექტროენერჯია იყო გატარებული.

ტრანზიტის უდიდესი მოცულობა აზერბაიჯანიდან თურქეთში ტრანზიტზე მოდის.

აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით თურქეთმა 2.23 მლრდ კვტ.სთ ელექტროენერჯია მიიღო, ეს ტრანზიტის თითქმის 87% -ია.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს ჯამური ტრანზიტი 3.16 მლრდ კვტ.სთ იყო.

საქართველო ტრანზიტიდან დამატებით შემოსავალს იღებს. მათ შორის, „სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2022 წლის ანგარიშის მიხედვით, გასულ წელს ტრანზიტიდან კომპანიამ 22.3 მლნ ლარის შემოსავალი მიიღო.

წყარო: bm.ge - <https://bit.ly/40ZJbti>

## საქართველო და ყირგიზეთი მწვანე ენერჯის განვითარების საკითხებში თანამშრომლობენ

სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორმა ჯაბა ხმალაძემ და ყირგიზეთის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული „მწვანე ენერჯის ფონდის“ დირექტორმა ემილბეკ ოროზბაევა ორგანიზაციებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

„ენერჯეტიკის განვითარების ფონდის“ ინფორმაციით, მემორანდუმის მიზნებს წარმოადგენს ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარება, თანამშრომლობის დამყარება და განვითარება, მწვანე ენერჯის ჭრილში მარეგულირებელი ჩარჩოს, ტექნიკური სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის გაცვლას და ცნობიერების ამაღლებას განახლებადი ენერჯის განვითარების სფეროში არსებული ერთობლივი მიზნების მისაღწევად.

ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს საქართველოსა და ყირგიზეთის რესპუბლიკაში კიდევ უფრო მეტი ინვესტიციის მოზიდვასა და განახლებადი ენერჯეტიკული პროექტების წარმატებით განვითარებას.

წყარო: energynews.ge - <https://bit.ly/3sEApnT>

## განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

### რომეო მიქაუტაძე: საქართველო უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ევროპულ ენერჯეტიკულ ოჯახში

საქართველო იძენს უფრო მეტ მნიშვნელობას ევროპულ ენერჯეტიკულ ოჯახში. პირველი ენერჯეტიკული დიალოგის გახსნა იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ, დღეის მდგომარეობით საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაო გვაქვს გაწეული ევროკავშირის კანონმდებლობის ჰარმონიზების და ასევე, სხვადასხვა რეგლამენტების გადმოტანის მიმართულებით - ამის შესახებ გადაცემა „ბიზნესპარტნიორში“ ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ რომეო მიქაუტაძემ განაცხადა.

მისი თქმით, ამან გააჩინა საშუალება იმისა, რომ უფრო მაღალ დონეზე და უფრო ხაზგასმულად წარმართულიყო ევროკავშირი-საქართველოს შორის დიალოგის რეჟიმი. ეს კი, გულისხმობს ენერჯეტიკულ დიპლომატიაში მონაწილეობას როგორც რეგიონული, ასევე საერთაშორისო მასშტაბით.

„გუშინდელი დღე ადასტურებს იმას, რომ ამ ეტაპამდე მნიშვნელოვანი შრომაა გაწეული ქვეყნის და ევროკავშირის მიერ. ეს მთავრობის მიერ გაწეული პრაგმატული, ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტიკის შედეგია.“

შეხვედრები იყო ძალიან პოზიტიური და განწყობაც. ეს განწყობა ერთ დღეში არ შექმნილა. ამის უკან საკმაოდ ბევრი ადამიანის დაუღალავი შრომა დგას. უკვე ძალიან ბევრი ნაბიჯია გადადგმული იგივე ენერგოეფექტურობის, მშენებლობის, ეკო ეტიკეტირების კუთხით. ძალიან ბევრი კანონი თუ კანონქვემდებარე აქტი ჩავუშვით ოპერირებაში და ეს მოქმედებს“ - ამბობს რომეო მიქაულტაძე ევროკომისარ კადრი სიმსონის საქართველოში ვიზიტის შედეგების შეფასებისას.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის მაღალი დონის პირველი ენერგეტიკული დიალოგი დაიწყო. ენერგეტიკის საკითხებში ევროკომისართან კადრი სიმსონთან შეხვედრები გამართეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის მაღალი დონის ენერგეტიკული დიალოგის შემდეგი შეხვედრა ბრიუსელში გაიმართება.

წყარო: <https://bit.ly/3QRL6va>

## საწინააღმდეგო მიმართულებით მზრუნავ მცურავ ქარის ტურბინას შეუძლია ორჯერ მეტი ენერჯის გამომუშავება, ვიდრე უდიდეს ქარის ტურბინებს

სტანდარტული დიზაინის ქარის ტურბინა კარგავს თავის მაქსიმალურ ეფექტურობას, როდესაც ის დამონტაჟებულია ოკეანეში, სადაც არის ქარის ენერჯის დიდი პოტენციალი. ჩვეულებრივი ჰორიზონტალური ღერძის მქონე ქარის ტურბინები (HAWTs) უნდა იჭერდეს მაღალი კომპურის თავზე მრავალ მძიმე კომპონენტს, როგორცაა როტორი, გადაცემათა კოლოფი და გენერატორი. ეს ართულებს და აძვირებს მცურავი ვერსიის აგებას და ტექ.მომსახურებას.

ნორვეგიულმა კომპანიამ World Wide Wind (WWW) შეიმუშავა ალტერნატიული დიზაინი ოფშორული მცურავი ქარის ტურბინებისთვის. მათ VAWT ტურბინას (ვერტიკალური ღერძის ქარის ტურბინა) აქვს ფრთები, რომლებიც არის ზემოთ, მაგრამ ყველა მძიმე კომპონენტი ქვემოთაა, რაც აადვილებს მის ვერტიკალურ მდგომარეობაში შენარჩუნებას.

გარდა ამისა, დიზაინს შეუძლია ქარის ენერჯის მიღება ნებისმიერი მიმართულებიდან, რაც გამოირიცხავს მძიმე მექანიზმის საჭიროებას, რომელიც საჭირო იქნება ტურბინის ქარისკენ შემობრუნებისთვის.

კომპანიის მიერ შემუშავებულ გიგანტურ ქარის ტურბინას აქვს შესაძლებლობა იყოს 400 მეტრამდე სიმაღლის, რაც ანიჭებს მას უპრეცედენტო სიმძლავრეს. ერთი კომპურა შეიძლება იყოს 40 მეგავატი სიმძლავრის - თითქმის ორჯერ მეტის, ვიდრე მსოფლიოს უდიდეს ქარის ტურბინებს აქვთ. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს ენერჯის ფასებს ოფშორული ქარის ენერგეტიკისთვის.

კომპანია თანამშრომლობს AF Gruppen-თან, ნორვეგიის ერთ-ერთ უმსხვილეს სამრეწველო სამშენებლო ჯგუფთან, WWW პროტოტიპის შესამოწმებლად AF ბაზაზე ვაცაში, ნორვეგიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე.

19 მეტრის სიგრძის, 30 კვტ სიმძლავრის ტურბინის პროტოტიპში წარმოდგენილი იქნება WWW-ის ძირითადი ინოვაციური დიზაინის ელემენტები, როგორცაა ვერტიკალური ღერძის საწინააღმდეგო მზრუნავი ფრთების ორი კომპლექტი, სტრუქტურის ქვემოთ

განლაგებული გენერატორი და დახრის მექანიზმი, რომელიც საშუალებას იძლევა. ტურბინა ქარის მიმართულების არეგულიროს.

კომპანია აცხადებს, რომ მისი შემდეგი პროტოტიპი იქნება ბევრად უფრო დიდი 1,5 მეგავატი სიმძლავრის, რომლის ტესტირება დაგეგმილია 2025 წელს. გარდა ამისა, WWW გეგმავს კომერციული 24 მეგავატიანი ტურბინის გაშვებას 2030 წლისთვის. WWW-ის უნიკალური დიზაინი საშუალებას იძლევა გაიზარდოს ტურბინების სიმძლავრე 40 მგვტ-ზე მეტად.

წყარო: worldwidewind - <https://bit.ly/47oNhO3>

## კლიმატის ცვლილება

### ატმოსფეროში მომწამლავი ვერცხლისწყლის შემცველობა იზრდება

ახალი კვლევის მიხედვით, ჩვენი წელთაღრიცხვით 1500 წლიდან დღემდე, დედამიწის ატმოსფეროში ვერცხლისწყლის შემცველობა 7-ჯერ გაიზარდა.

თუ ერთ დროს ჩვენი პლანეტის აირად გარსში ზემოხსენებული მომწამლავი ელემენტის ოდენობა დაახლოებით 580 მეტრული ტონა იყო, ახლა ამ მაჩვენებელმა 4000 მეტრულ ტონამდე მიაღწია. ამაში საკმაო წვლილი ადამიანებს მიეკუთვნება.

"გარკვევა ვერცხლისწყლის ბუნებრივ ციკლში, რომელსაც ვულკანური ემისიები უწყობს ხელს, მისი დონის შემცირების უმთავრეს მიზანს გვისახავს და საშუალებას გვაძლევს, გარემოზე ადამიანთა აქტივობების გავლენის მნიშვნელობა გავიაზროთ", — აცხადებენ ავტორები.

ვერცხლისწყალი და მისი შემცველობის ნაერთი მეთილვერცხლისწყალი ადამიანისთვის ძალიან მომწამლავია. გარკვეულწილად, მათთან შეხება ყველა ჩვენგანს უწყევს, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ დიდი რაოდენობით თევზს ან ზღვის სხვა პროდუქტებს ვიღებთ, რადგან ისინი მათში ბიოაკუმულირდება...

ავტორთა ნაშრომი გამოცემაში Geophysical Research Letters გამოქვეყნდა.

წყარო: on.ge - <https://bit.ly/3MZEoSF>

### პლატფორმის "ტყის მეგობარი" ფარგლებში, თიანეთის მუნიციპალიტეტში ტყის აღდგენის პროექტი განხორციელდება

პლატფორმის „ტყის მეგობარი“ ფარგლებში, თიანეთის მუნიციპალიტეტში ტყის აღდგენის პროექტი განხორციელდება. „უფეს საქართველო“ პირველი კომპანიაა, რომელიც ტყეებზე ზრუნვის მოხალისეობრივ პლატფორმას შემოუერთდა. ახალი ბრენდი - EFES Special ტყის აღდგენაზე თიანეთის სატყეო უბანში იზრუნებს, რისთვისაც 13 200 ლარი დაიხარჯება.

მიმდინარე წელს, ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებებს კომპანია 12,1 ჰექტარ ფართობზე, სიმონიანთხევის სატყეო უბანში განახორციელებს და აღდგენილი ფართობის ხანგრძლივადიან მოვლაზეც იზრუნებს.

ეროვნული სატყეო სააგენტოს ინიციატივით, გაეროს განვითარების პროგრამის ბიომრავალფეროვნების საფინანსო ინიციატივის (BIOFIN) ფინანსური მხარდაჭერით,

პლატფორმა „ტყის მეგობარი“ შეიქმნა. პლატფორმა როგორც ფიზიკურ პირებს, ასევე კომერციულ ორგანიზაციებს საქართველოს ტყეების აღდგენაში მონაწილეობას სთავაზობს როგორც მოხალისეობრივი ჩართულობით, ასევე, ფინანსური მხარდაჭერით.

„ტყის მეგობრის“ პლატფორმაზე, დღეის მდგომარეობით, დარეგისტრირებულია 969 მოხალისე, ინდივიდუალური შემოწირულობამ 454, ხოლო კორპორატიულმა 64 923 ლარი შეადგინა. შექმნილია 29 000 ევროს ღირებულების ტყის აღდგენის სამუშაოებისათვის საჭირო აღჭურვილობა და მასალები.

პლატფორმას 2024 წელს განსახორციელებელი ტყის აღდგენის პროექტები დაემატება.

„ტყის მეგობრის“ მიზანია, გააერთიანოს საზოგადოება საქართველოს ტყეების წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად. ყველა დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირს საშუალება აქვს დარეგისტრირდეს პორტალზე - [www.forestfriend.ge](http://www.forestfriend.ge), შეარჩოს სასურველი პროექტი, მოახდინოს დონაცია და გახდეს ტყის მეგობარი.

წყარო: bp.ge - <https://bit.ly/3SUPBaQ>

## ღონისძიებები

[Behave 2023 - მე-7 ევროპული კონფერენცია ქცევისა და ენერგოეფექტურობის შესახებ](#)

თარიღი: 28–29 ნოემბერი, 2023

ორგანიზატორი: EuropeanEnergyNetwork (EnR)

ადგილი: მასტრიხტი, ნიდერლანდები

[სემინარი - ენერგოეფექტურობის ვალდებულებების სქემები და სხვა საბაზრო ინსტრუმენტები 2030 წლის მიზნების მისაღწევად!](#)

თარიღი: 07 დეკემბერი, 2023

ორგანიზატორი: ENSMOV Plus project

ადგილი: საფრანგეთი, პარიზი, EDF-ის შენობა Tour Légende, 20 Place de la Défense

[Zero Carbon Industry 2024](#) - კონფერენცია ნულოვანი ნახშირბადის მრეწველობის შესახებ

თარიღი: 30–31 იანვარი, 2024

ორგანიზატორი: eceee

ადგილი: ანტვერპენი, ბელგია